

საქართველო მოკლე მიმოხილვა

გარემო და ჯანმრთელობა

მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, გარემოს მავნე ზემოქმედების შედეგად გამოწვეული დაავადების ტვირთი საქართველოშიც საკმაოდ მაღალია (17%). გარემოსთან-ასოცირებული დაავადებების ტვირთის შემცირებისა და პრევენციის მიზნით, ამასთანავე ეკოლოგიური რისკებისადმი მოსახლეობის ექსპოზიციის შესამცირებლად შემუშავდა გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად. საქართველომ დაიწყო გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმით დადგენილი ვალდებულებების განხორციელება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ტვინინგის მექანიზმის გამოყენებით.



გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ქვეყნის დახმარების მიზნით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარემოსა და ჯანმრთელობის ევროპულმა ცენტრმა (ECEH) (ბონი, გერმანია) 2015-2016 წლებში საქართველოში სამი მისია განახორციელა.



საკვანძო საკითხები და უახლესი მიღწევები

7 სტრატეგიული მიზანი და ინტერვენციები ჩამოყალიბებულია ახლად შემუშავებულ გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში; ესენია:

1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა უსაფრთხო და მდგრადი წყალმომარაგებისადმი ხელმისაწვდომობისა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების გზით. თითოეული ბავშვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფა უსაფრთხო წყალმომარაგებისა და სანიტარიული მდგომარეობისადმი 2021 წლისთვის.
2. ბავშვთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოსადმი და ყოველდღიური ცხოვრების პირობებისადმი მათი ფიზიკური აქტივობის გაზრდის მიზნით 2021 წლისათვის.
3. ატმოსფერული (გარე) და შიდა ჰაერის გაბინძურების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება და განხორციელებული ღონისძიებები მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით.
4. ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებით გამოწვეული ავადობის პრევენცია.
5. ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრაცია კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შემარბილებელი პოლიტიკის სფეროში
6. საქართველოში არსებული "გარემოსა და ჯანმრთელობის" სისტემის მართვის გაუმჯობესება.
7. გარემოს ფიზიკური აგენტებით განპირობებული რისკების შემცირება 2021 წლისთვის.



პროექტი "Twining-GE22" - "გარემოს ჯანმრთელობის სისტემის გაძლიერება საქართველოში", რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა იტალიის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის კონსორციუმის მიერ, 2017 წელს დაიწყო. პროექტის ამოცანებია: გარემოს ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, გარემოს და ჯანმრთელობის არსებული სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება და ევროკავშირის შესაბამისი საჯარო უწყებებთან დაძმობილება.

ქიმიური უსაფრთხოება - გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალურ სამინისტროს საკონსულტაციო დახმარების პროგრამის (AAP) ფარგლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და ევროკავშირის სხვა მეზობელ სახელმწიფოებში, 2015-2017 წლებში განხორცილდა პროექტი „საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების მიზნით საქართველოში“.





პროექტი მიზნად ისახავს საშიში ქიმიური ნივთიერებებზე ინფორმაციის შეგროვებისა და გაზიარების საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოს შემუშავებას, ინვენტარიზაციის მოდელის შექმნასა და მისი პრაქტიკული გამოყენების ტესტირებას.

საშიში ქიმიური ნივთიერებების რეგისტრის მოდელი, მისი დემო-ვერსია და საოპერაციო ჩარჩო შემუშავდა ეროვნული ექსპერტების მიერ პროექტის საერთაშორისო მენეჯერთან და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით.

წყალი, სანიტარია და ჰიგიენა - WASH აქტივობები - საქართველო თანალიდერია უნგრეთთან ერთად - საქართველო ჩართულია ევროპის რეგიონში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) გაძლიერების საკითხში.

ოქმის "წყალი და ჯანმრთელობა" (ოსლო, 2013) მხარეთა მესამე შხვედრაზე მიღებულ იქნა 2014-2016 წლების სამოქმედო პროგრამა. პირველ რიგში, ეს პროგრამა მოიცავს პრიორიტეტულ სფეროს, რომელიც ეხება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის გაუმჯობესებას და გაძლიერებას სკოლებში. ამ საქმიანობას კოორდინაციას უწევენ უნგრეთი და საქართველო. ჯანმო-ს ევროპულმა ბიურომ მოაწყო შეხვედრები წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების განხილვის მიზნით (ბონი, 2014 წლის სექტემბერი) და 16-17 მაისს უნგრეთში.





დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აქტიურად არის ჩართული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და სტრატეგიების მომზადების პროცესში ევროპული რეგიონის სკოლებში წყლის, სანიტარიული მდგომარეობისა და ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.

გამოწვევები

1. აქტივობების ეროვნული პორტფელის შემუშავება, ოსტრავას დეკლარაციის ვალდებულებების შესრულება.
2. გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის - NEHAP-2, განხორციელება.
3. გარემოს ჯანმრთელობის სისტემის გაძლიერება საქართველოში ევროკომისიის ტვინინგის (TWINING) პროექტის შესაბამისად.
4. გერმანიის გარემოს ფედერალური სააგენტოს და ჯანმო-ს ევროპული ბიუროს ერთობლივი პროექტის "ეროვნული სისტემების ძირითადი ელემენტების შექმნა საქართველოში ქიმიური ნივთიერებების ეფექტური მართვისათვის", განსახორციელება.



საქართველოს შრომის
ბუნებრივი რესურსების
სადაცხელოვნო
სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ა.წერეთლის გამზ.144 თბილისი, საქართველო, 0119
www.moh.gov.ge



დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მ.ასათიანის ქ.9, თბილისი, საქართველო, 0177
www.ncdc.ge